სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ
რექტორის 2020 წლის 24 დეკემბრის № 252/01–01 ბრძანების საფუძველზე
კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე
გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2021 წლის 18 იანვრის № 4/2021 დადგენილების პუნქტი 3-ის საფუძველზე დამტკიცებული
საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) № 3

ქ. თბილისი **16 თებერვალი, 2021 წ.**
16:00

სხდომას კომისიის ოთხი წევრიდან ესწრებოდა ოთხივე წევრი: 1. თსუ-ს პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. თსუ-ს პროფესორი გია სირბილაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. თსუ-ს ასისტენტ პროფესორი მაია არჩუაძე.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულის გამოვლენა.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. **მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ალექსანდრე გამყრელიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

   მან აღნიშნა, რომ კონკურსანტის შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის მიერ კონკურსანტის ანკეტაში (დანართი N3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (დანართი N4) მიხედვით.

   კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე გამყრელიძემ მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები:

   კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის **გამოყენებითი ინფორმატიკის** კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა: თეიმურაზ მანჯაფარაშვილმა.

   შეფასების I კატეგორიაში („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, რადგან კონკურსანტის თეიმურაზ მანჯაფარაშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სანსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში („კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება **მაღალი,** ვინაიდან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული სასწავლო კურსები (3 საბაკალავრო საფეხურის და 4 სამაგისტრო საფეხურის კურსი) ვაკანსიის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს.

III კატეგორია („სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა“): კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი 11 სამეცნიერო ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და უმრავლესი გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის მქონე რეფერირებად უცხოურ ჟურნალებში, საკონფერენციო მასალებში; ციტირების ინდექსია – 14, h-ინდექსი – 2; მოხსენებები ადგილობრივ კონფერენციებზე – 1. საკონკურსო კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები, რაც არსებითად მოიცავს მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან თანამშრომლობას. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და გათვლილია მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდაზე. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის **საშუალო**.

შეფასების IV კატეგორიაში („სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)“) – ორივე ნაწილის მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება **მაღალი**: იგი არის 9 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; თსუ სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული სისტემები“–ს B მოდულის ხელმძღვანელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი სასწავლო და საუნივერსიტეტო აქტივობები.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ თეიმურაზ მანჯაფარაშვილს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. გასაუბრებისას გამოვლინდა პრეტენდენტის მაღალი სამეცნიერო ერუდიცია, სამეცნიერო საკითხების ღრმა ცოდნა, მსჯელობისა და დასაბუთების მაღალი კულტურა, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, პროფესიული უნარ–ჩვევებით, დისკუსიაში ჩართულობის უნარით სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობასთან.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ყველა წევრმა. საკონკურსო კომისიამ ერთხმად (ოთხი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი თეიმურაზ მანჯაფარაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი და მეორე ეტაპის შეჯამებით და ფარული კენჭისყრის შედეგის მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა: **თეიმურაზ მანჯაფარაშვილი.**

2. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე,
პროფ. ალექსანდრე გამყრელიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
პროფ. გია სირბილაძე

კომისიის მდივანი,
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი

კომისიის წევრი,
ასისტ. პროფ. მაია არჩუაძე